შოთა რუსთაველის სახელობის მეტროს მიმდებარე ტერიტორია
(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს თბილისის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის მოედნის და ზანდუკელის ქუჩის შესაყართან. ის რუსთაველის პროსპექტით, კოსტავასა და ზანდუკელის ქუჩებით მოსაზღვრულ ვრცელ კვარტალს მოიცავს.



საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანება. 1960-იანი წლები.

უბნის განვითარების მოკლე ისტორია და მისი განაშენიანება


ისტორიულად რუსთაველის პროსპექტი გარეთუბნის ნაწილია. ის წარმოიშვა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ე.წ. "სარუსეთო გზის" მიმართულებით. XIX საუკუნის ბოლოსთვის პროსპექტს უკვე ჩამოყალიბებული არქიტექტურული სახე ჰქონდა. შუა საუკუნეებში ქალაქის ეს ნაწილი დაუსახლებელი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმის მიხედვით მისი უკიდურესი წერტილი ქვაშვეთის ეკლესია, იქვე მდებარე ციციშვილის

სახლი, მეფის საასპარეზო და ყაიბულას ბაღია (დღევანდელი ალექსანდრეს ბაღის ადგილი).

ოსმალების შემოსევამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები გარეთუბანს მოუტანა და დიდი ხნით შეაფერხა მისი განვითარება. გარეთუბნის ხელახალი ათვისება რუსული ხელისუფლების დროს დაიწყო, თუმცა ქუჩების გაწმენდა და მოწესრიგება ათეულობით წელი გაგრძელდა. XIX საუკუნის პირველი ათწლეულების თბილისის გეგმებზე ჩანს, რომ იმხანად აქ, გარდა უსისტემოდ მიმოფანტული რამდენიმე პატარა ნაგებობისა, ჯერ კიდევ არაფერი იდგა. არც ქუჩების ქსელია ჩამოყალიბებული, თვით მომავალ გოლოვინის პროსპექტსაც კი ქუჩის სახე არა აქვს. შენობათაგან აღნიშნულია მხოლოდ ქვაშვეთის ეკლესია და მთავარმართებლის სასახლე (მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ადგილზე).


რუსთაველის გამზირზე ინტენსიური მშენებლობა 1830-40-იანი წლებიდან იწყება, რის შედეგადაც სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ პერიოდიდან დიდი ყურადღება ექცეოდა პროსპექტზე აგებული შენობების არქიტექტურულ სახეს.

1850-იანი წლებისთვის გოლოვინის პროსპექტს უკვე ჩამოყალიბებული ხუროთმოძღვრული იერი ჰქონდა – ყველაზე დასრულებული სახე კი მეფისნაცვლის სასახლის ირგვლივ მდებარე ტერიტორიამ შეიძინა.



თბილისის 1867 წლის რუკა.

განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა გოლოვინის პროსპექტი და მისი მიმდებარე კვარტლები მეფისნაცვალ გრაფ მიხეილ ვორონცოვის დროს (1844-1854), თუმცა ქუჩის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, დღევანდელი რუსთაველის მეტროს მიმდებარედ, გარკვეულ ხანს კიდევ აუთვისებელი რჩებოდა. ინტენსიური მშენებლობა ამ მიკროუბნში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამ პერიოდში ეს ადგილი ცნობილი იყო, როგორც "მოსკოვის საგუშაგო" – აქ კავკასიის მთავარმართებლის მიერ რუსეთიდან ჩამოსახლებული გადამდგარი ჯარისკაცები და ხელოსნები დასახლდნენ; "მოსკოვის ხევში", არტილერიისა და მესამგრეთა "სლობოდკები" აიგო.
1867 წლის რუკაზე გოლოვინის პროსპექტი მთლიანად გამოკვეთილია და მას რწლას ქუჩა აგრძელებს (დღევანდელი კოსტავას ქუჩა). მოსკოვის ხევის შესაყართან, დღევანდელი ზანდუკელის ქუჩის ადგილზე, უკვე ჩამოყალიბებულია ე.წ. "ახალი ქუჩა" და განაშენიანებაც უკვე არსებობს. ცოტა მოშორებით კი ფოსტის სადგური, კომენდანტის სახლი და სხვა შენობები დგას.



თბილისის 1902 წლის რუკა.

1884 წელს გაიყვანეს ვერის აღმართი და იქვე მოეწყო ვერის მოედანი, სადაც დიდ ხანს ბაზარიც იყო. 1885 წელს ვერის ხიდის ამოქმედების შედეგ კი (არქიტექტორი უმანსკი, ინჟინერი ზამიატინი) გოლოვინის გამზირი მარცხენა სანაპიროს მოკლე გზით დაუკავშირდა. (1951-52 წლებში ხიდი მთლიანად განაახლეს - ინჟინერი გ. ჩომახიძე, არქიტექტორული გაფორმება მ. მელია).


გოლოვინის პროსპექტმა, როგორც ქალაქის მთავარმა ქუჩამ, იმთავითვე შეიძინა სატრანსპორტო დატვირთვა – 1880-იან წლებში პროსპექტზე „კონკა“ გაიყვანეს, რომელიც „მოსკოვის საგუშაგოსთან“ ვერის დაღმართზე უხვევდა. 1905 წელს „კონკა“ ტრამვაიმ შეცვალა. ტრამვაის ხაზი 1930 წელს გააუქმეს.



ვერის დაღმართი. 1920-იანი წლების ფოტო.

XIX საუკუნის მიწურულისთვის რუსთაველის მოედნის მიმდებარე უბანი უკვე ინტენსიურად არის განაშენიანებული და ქუჩათა ქსელმაც საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. 1902 წლის რუკაზე უკვე გამოკვეთილია გოლოვინის პროსპექტთან დაკავშირებულ უსწორმასწორო აღმართებზე განვითარებული ქუჩები, უკვე გაყვანილია მოსკოვის ქუჩა, იზმაილოვის ქუჩა (დღევანდელი ხანდუკელის ქუჩა - თავიდან მას ახალი ქუჩა ერქვა, 1900-იან წლებში დაერქვა ქალაქის თავის პავლე იზმაილოვის სახელი; საბჭოთა წლებში სახელი რამდენჯერმე შეეცვალა – 1923 წელს ლომინაძის, შემდეგ კი კოლხიდის და ი. ჯავახიშვილის სახელს ატარებდა. 1990-იანი წლებიდან ეწოდა მიხეილ ხანდუკელის ქუჩა).

1912-1915 წლებში, პოლონელი არქიტექტორის - ნიკოლოზ ობოლონსკის პროექტით, აიგო მელიქ აზარიანცის სახლის სახელით ცნობილი შენობა – (დღევანდელი რუსთაველის გამზ. №37), რომელმაც არსებითად შეცვალა „გარეთუბნის“ ამ მონაკვეთის, როგორც მხატვრულ-არქიტექტურული სახე, ისე განაშენიანების მასშტაბი.



რუსთაველის მოედნის მიმდებარე ტერიტორია. 1910-იანი წლების ფოტო.

უბნის შემდგომი სისტემური განვითარება საბჭოთა პერიოდის 1930-იანი წლებიდან იწყება - ყურადღება ეთმობა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რაც სატრანსპორტო პრობლემების მოწესრიგებას, ახალი მაგისტრალების შექმნას და ძველის გაფართოებას გულისხმობდა.

1930 წელს ელბაქიძის (ყოფილი ვერის) დაღმართის რეკონსტრუქციისას გზაჯვარედინზე აიღეს ძველი შენობები და გამონთავისუფლებულმა სივრცემ მოედნის სახე მიიღო.

1933-1935 წლებში პროსპექტის სარაჯიშვილისა და მოსკოვის ქუჩებს შორის მოქცეული მონაკვეთი 8 მეტრით გააფართოეს, როდესაც დღევანდელი სარაჯიშვილის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხესთან ერთსართულიანი შენობები დაანგრიეს და მათ ნაცვლად ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (№50) ააგეს, ინჟინერ სიმენსონის პროექტის მიხედვით.

1930-იან წლებში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს გამოიკვეთა რუსთაველის მოედნის ქალაქმშენებლობითი კვანძი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ჩასახული.

1942 წელს აიგო არქიტექტურულ-დეკორაციული კომპოზიცია, რომელშიც წამყვანი ადგილი ეკავა შოთა რუსთაველის ქანდაკებას (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, არქიტექტორი შ. თულაშვილი). კომპოზიცია, რომელიც ქანდაკების საყრდენს წარმოადგენს, დაქუცმაცებულია ცალკეული ელემენტებით (ცოკოლის თაღედში ჩართული წყარო, კვარცხლბეკის რელიეფები "ვეფხისტყაოსნის" თემაზე, კიბეები). ქანდაკება ადგილის გამო, რომელიც მოედნის განაპირას მდებარეობს და მხოლოდ ახლო მანძილიდან ჩნდება, ყველა რაკურსიდან შენობების ფონზე იკითხება და შემთხვევითი აქცენტის ფუნქციას უფრო იძენს, ვიდრე ურბანული კვანძის გამაერთიანებლის.



შოთა რუსთაველის ძეგლი.

თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების ახალი გენერალური პროექტი (ავტორები ზ. ქურდიანი, ვ. ზოლოტუხინი და სხვები) 1948-52 წლებში შედგა, რომელიც ქალაქის განვითარებას 1950-70 წლებისთვის განსაზღვრავდა. პროექტი ცენტრალური უბნების გაფართოება-რეკონსტრუქციასაც გულისხმობდა – მათ შორისაა ო. კალანდარიშვილი და გ. გალდავას რუსთაველის პროსპექტისა და მოედნის მიმდებარე ტერიტორიის პროექტი – "იმელის" შენობიდან დღევანდელი კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყარამდე. პროექტი "მელიქ აზარიანცის" სახლის აღების ხარჯზე პროსპექტის ხაზის გასწორებასა და გაფართოებას ისახავდა მიზნად.

რუსთაველის მოედანზე მარჯვენა მხარე უნდა გახსნილიყო მტკვრის მიმართულებით. ამგვარი "გახსნა" ნაკარნახევი იყო, როგორც სივრცობრივი თვალსაზრისით, ისე სატრანსპორტო საკითხის მოსაგვარებლადაც. ელბაქიძის დაღმართისკენ ეწყობოდა ესტაკადა, რომელიც ნაწილობრივ განტვირთავდა მოედანს ტრანსპორტის მოძრაობისგან.

ამრიგად, რუსთაველის პროსპექტი სწორ მაგისტრალად უნდა ქცეულიყო, ხოლო მოედანი გადატანილ იქნებოდა მელიქიშვილისა და ლენინის (დღევანდელი კოსტავას) ქუჩების შესაყართან.

1958 წელს თბილისის ცენტრში, ელბაქიძის დალმართთან გაყვანილ იქნა ახალი მაგისტრალი. ხევში 22 მეტრის სიმაღლის ესტაკადის მოწყობამ მნიშვნელოვნად განტვირთა რუსთაველის მოედანი ტრანსპორტისგან. ფაქტიურად, ამით დაიწყო მასთან მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია[1].



ყოფილი "საქნახშირის" ადმინისტრაციული სახლი.

1949 წელს გადაწყდა მოსკოვის ქუჩის კუთხესთან მდგარი გაბაშვილისეული ორსართულიანი სახლის დანგრევა და მის ადგილზე საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული შენობის აგება. მშენებლობა 1953 წელს დაიწყო (არქიტექტორები მ. ჩხეიძე და კ. ჩხეიძე, ინჟინერი დ. კორძაია). ბოლნისის მოოქროსფრო ტუფით მოპირკეთებული მონუმენტური ფასადი

[1] ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბილისი 1971, გვ. 382.

ქართული ორნამენტული მოტივებით არის გაფორმებული. "საქნახშირის" ადმინისტრაციული სახლი მოედნის ურბანული სახის ფორმირებაშიც მონაწილეობს – განსაზღვრავს ქუჩის მიმართულებას და განაშენიანების სიმაღლეს, მიმდებარე განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ სახეზე და მასშტაბზეც მოქმედებს.

"საქნახშირის" ადმინისტრაციული შენობის დაპროექტებამდე გამოცხადდა კონკურსი რუსთაველის მოედნის არქიტექტურული ორგანიზებისათვის, რაც მისი რეკონსტრუქციის საფუძველი უნდა ყოფილიყო. კონკურსი 1945 წელს ჩატარდა, რომელშიც ქალაქის წამყვანი არქიტექტორები მონაწილეობდნენ. აზრთა სხვადასხვაობა იყო ქანდაკების ადგილის შესარჩევადაც. ზოგიერთი არქიტექტორი ქანდაკების უკან მოედანს ტერასისებრ ამუშავებდნენ, რითაც, რელიეფის კარგად ათვისებასთან ერთად, მოედანს მეტი სივრცე, ხოლო ქანდაკებას არქიტექტურული ფონი ექმნებოდა. არქიტექტორების მ. ჩხიკვაძისა და კ. ჩხეიძის პროექტში ქუჩის განტვირთვისათვის ესტაკადა იყო გამოყენებული. მიუხედავად საპროექტო წინადადებების მრავალფეროვნებისა წარმოდგენილი პროექტები მოკლებული იყო რეალურ საფუძველს და ამოცანა გადაუწყვეტი რჩებოდა[2].

"საქნახშირის" ადმინისტრაციული შენობის გამარჯვებული პროექტის განხორციელებით დაიწყო რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია. ფასადის ძირითად თემად თაღედია გამოყენებული. ხუთსართულიანი ჰორიზონტალური ნაწილი მოედნისკენ მაღალი, 55 მეტრიანი კოშკით მთავრდება, რომელიც მოედანზე ახალ დომინანტს ქმნის (მაშინ, როდესაც რუსთაველის ძეგლის დომინანტის ფუნქცია დაკნინდა და ფონურ განაშენიანებაში ჩაიკარგა). ამ ადგილზე ქუჩის ოდნავ შეტეხილი დინების გათვალისწინებით, კოშკი მთელ შენობასთან 10 გრადუსიანი კუთხით არის მობრუნებული. მთავარი ყურადღება კოსკის დანაწევრებას ექცევა – იგი ქვევიდან ზევით თანდათან მსუბუქდება. თუმცა კოშკისა და ჰორიზონტალური მასივის მხატვრულ-არქიტექტურული დამუშავება, ცალკეული ელემენტების მასშტაბი, პროპორციები არ ემსახურება შენობის არქიტექტურულ გამთლიანებას.

---

[2] ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბილისი 1971, გვ. 306.

კოშკის ვერტიკალი ქალაქის ცენტრის სხვადასხვა მხრიდან იპყრობს ყურადღებას – ზოგიერთი წერტილიდან მეტ გამომსახველობას იძენს მთაწმინდის ფონზე.



ხედი მარცხენა სანაპიროდან.

თვით მოედანზე კოშკი რუსთაველის ქანდაკებასთან ერთად – ორი სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის ვერტიკალს აჩენს და ერთი აშკარად გამოკვეთილი დომინანტის ნაცვლად ორი ვერტიკალური აქცენტი ყურადღების გაორებასაც იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკება რუსთაველის მოედნის პერსპექტივს კეტავს, სათანადო ყურადღებას ვერ იქცევს, კოშკის ხაზგასმული ვერტიკალური მასა აღქმის ყველა წერტილიდან ექცევა ყურადღების ცენტრში[3]. პირველი დიდი კონკურსი რუსთაველის მოედნის სარეკონსტრუქციოდ 1965 წელს ჩატარდა, რაც გულისხმობდა სატრანსპორტო საკითხის გადაწყვეტას. ამასთან, უნდა მოგვარებულიყო მოედნის სივრცობრივ-არქიტექტურული

[3] ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბილისი 1971, გვ. 314.

კომპოზიცია – შოთა რუსთაველის ძეგლის, მეტროსადგურის ადგილის განსაზღვრას და სხვა.



"რუსთაველის" მეტროს პავილიონი.

1965 წელს რუსთაველის მეტროს მიწისზედა პავილიონის ასაგებად დაანგრიეს ძველი შენობები. მეტროპოლიტენი 1966 წელს გაიხსნა. მეტროსადგურების პროექტებში იგრძნობოდა საბჭოთა კავშირში გავრცელებული კონსტრუქციული საფუძვლების გავლენა, თუმცა მიწისზედა პავილიონების არქიტექტურული სახის გადაწყვეტაში მეტი თავისუფლება ვლინდება. მათი არქიტექტურა სავსებით შეესაბამებოდა ქალაქის განაშენიანების მასშტაბს. რუსთაველის მოედანზე მეტროს მიწისზედა პავილიონის (არქიტექტორები ო. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე, მოქანდაკე ე. ამაშუკელი; მიწისქვეშა სადგურის ავტორი ალ. ჯანელიძე) არქიტექტურული სახე მინის სიბრტყისა და თეთრი ეკლარის ქვის მონაცვლეობას ემყარება. ფასადის არქიტექტურა კორექტულია. სივრცეს ორგანულად არის მისადაგებული. ცილინდრული კედლები ვერტიკალური ზოლების რიგით არის დანაწევრებული (თბილისის მთავარი არქიტექტორის - ი. ჩხენკელის, 1963 წ. 4 ივლისის ბრძანებაში №154, აღნიშნულია, რომ რუსთაველის მეტროპოლიტენის მიწისზედა პავილიონი, რომელიც იმხანად უნდა აშენებულიყო წარმოადგენს დროებით ნაგებობას და იგეგმებოდა მისი სხვა ტიპის ნაგებობით შეცვლა).

ერთ-ერთი საყურადღებო ქალაქმშენებლობითი მოვლენა იყო 1980 წელს „რესპუბლიკის მოედნის" მშენებლობა (ავტორები ო. კალანდარიშვილი და გ. ფოცხიშვილი). ძველი ქალაქის ცენტრში ახალი მოედნის დაგეგმარება რთული

და მტკივნეული საკითხი იყო. ახალი მოედანი აიგო, როგორც მსხვილი სატრანსპორტო კვანძი საკმაოდ რთული, ხრამიანი რელიეფის ადგილზე. მოედანი ცალი მხრივ გახსნილია მტკვრის აუზისა და ქალაქის შესანიშნავი ხედისკენ, ხოლო მეორე მხრივ „სივრცული თაღედით“. ამდენად, ხელოვნურ სუბსტრუქციაზე შექმნილი მოედანი, ფორმალურ სივრცესაც წარმოადგენდა, რომელიც საბჭოთა აღლუმებისათვის იყო ნავარაუდევი. ამ ადგილისათვის არაბუნებრივად დიდი, „შეუკრავი“ სივრცე მოკლებულია არქიტექტურულ-კომპოზიციურ სტრუქტურულობას.



რესპუბლიკის მოედანი. 1980-იანი წლები.

დღეს რუსთაველის მოედნის არქიტექტურულ გარემოს რამდენიმე განსხვავებული სტილისა და მასშტაბის შენობა, მოედნის ოთხი მიმართულებით გახსნილი სივრცე (სადაც ნაწილობრივ „რესპუბლიკის მოედნის“ სივრცეც მონაწილეობს) და მოედნის სტრუქტრაში ჩართული ქანდაკებით დასრულებული სუბსტრუქცია აყალიბებს, საიდანაც ზანდუკელის ქუჩის აღმართი იწყება. ზანდუკელის ქუჩის „ტერასული“ განაშენიანებაც – ორსართულიანი მომცრო შენობები ჩართულია საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური აღქმის არეალში. მოედნის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა მასშტაბისა და სტილის შენობათა არსებობა ამცირებს თითოეულის

არქიტექტურულ გამომსახველობას, არღვევს კომპოზიციის მთლიანობას და ქმნის ეკლექტურ გარემოს. ყველაზე ახალი შენობა 1990-იანი წლების ბოლოს, ზანდუკელის ქუჩის კუთხესთან აშენდა, რომელიც "მაგდონალდსს" ეკუთვნის (არქიტექტორი ვ. ორბელაძე).

რუსთაველის მეტროს მოპირდაპირე მონაკვეთი უფრო დატვირთულია მხატვრულ-არქიტექტურულად ღირებული შენობებით.

შენობების განსხვავებული მასშტაბიც ართულებს ისტორიულად ცამოყალიბებული არქიტექტურული დომინანტების გამოკვეთას - როგორიცაა ე.წ. „მელიქ აზარიანცის სახლი", არსებული ბუნებრივი ლანდშაპტი და სხვა. უხეში ჩარევის მაგალითებს ვხვდებით მთაწმინდის ფერდზე - კაკაბაძის ქუჩაზე აგებული ახალი შენობები ჩართულია საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური აღქმის არეალში. ამდენად, გასათვალისწინებელია ადგილის სპეციფიკა, რაც მტკვრის სანაპიროდან მთაწმინდის ფერდისკენ განვითარებული თავისებური რელიეფით და ქალაქის პანორამაში ჩართული ხედებით არის განპირობებული.


ხედვის მრავალი წერტილის მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა სივრცის გარემოზე მორგებული, ორგანიზებული სივრცის შექმნა. მოედანი მხატვრულადაც შეუკრავია. მის ირგვლივ გაერთიანებული ყველა მოცულობა დამოუკიდებლად, მთელისგან მოწყვეტით არსებობს.

მას შემდეგ, რაც 2008 წელს კერძო საკუთრების უგულველყოფის გზით, ძალადობრივად დაინგრა "რუსთაველის" მეტროს მიმდებარე მინის შენობები, სადაც მაღაზიები და კაფეები იყო განლაგებული და რომლებიც თავისთავად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, გამოჩნდა ქვის და აგურის შერეული წყობით ნაგები ყრუ კედელი, რომლის წინაც მერხებია ჩამწკრივებული. აღსანიშნავია, რომ მინის შენობების დანგრევის შემდეგ ამ ადგილმა ვერც სარეკრეაციო დატვირთვა შეიძინა და ვერც ურბანულ გარემოში მოიპოვა რაიმე ფუნქცია.

რუსთაველის მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ქალაქმშენებლობითად მოწესრიგების ამოცანა დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება.

დასკვნა და რეკომენდაციები

რუსთაველის მოედანი ქალაქის უმნიშვნელოვანესი კვანძია, რომელიც მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს მაგისტრალებს აკავშირებს ერთმანეთთან. მოედნის და მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქცია, რომელიც საბჭოთა წლებში განხორციელდა, რამდენიმე ეტაპს მოიცავს და მიზნად ისახავდა ერთიანი გეგმარებით გაერთიანებული არქიტექტურული ანსამბლის შექმნას.
მოედანს, რომლის გარშემოც თავს იყრის რამდენიმე ქუჩა და მაგისტრალი, უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია აქვს - რუსთაველის პროსპექტი მოედანთან მთავრდება, ვერის მიმართულებით მას კოსტავას ქუჩა აგრძელებს; მარჯვენა მხრიდან ვერის დაღმართი და რესპუბლიკის მოედანი უერთდება, მარცხენა მხარეს კი მოსკოვისა და ზანდუკელის ქუჩების განშტოებები.



ქალაქის პანორამის ფრაგმენტი. 1990-იანი წლები. მ. ჯაფარიძის ფოტო.

რუსთაველის პროსპექტის საკვლევი მონაკვეთი მის პერიმეტრზე განლაგებული შენობების ფასადთა სიჭრელით ხასიათდება და კომპოზიციურადაც შეუკრავია., რაც 1990-იან წლებში მთაწმინდის ფერდიდან გადაღებულ პანორამულ ფოტოში კარგად ჩანს. საჭიროა მოიძებნოს ურთიერთდაკავშირებული "ელემენტების" ისეთი სტრუქტურა, რომელიც სივრცის გაერთიანებას შეძლებდა - მხატვრულად გააზრებული არქიტექურული და ლანდშაპტური აქცენტი, რომელიც დაიქვემდებარებს შენობების სტილისტურ სიჭრელეს და შეკრავს მოედნის სივრცეს.
ამდენად, რუსთაველის მოედნის ირგვლივ ერთიან ურბანულ-არქიტექტურულ ანსამბლზე საუბარი რთულია. ერთიმეორის გვერდით მდგარი შენობები არ ქმნის

კომპოზიციურად ერთიან სტრუქტურას. არაერთჰზის მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ დღემდე ვერ ჩამოყალიბდა სივრცის არქიტექტურულ-მხატვრულად გამაერთიანებელი კონცეფცია, სადაც დიფერენცირებული იქნებოდა წამყვანი და მეორეხარისხოვანი.

მოედნის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში შენობების გარდა, უშუალოდ მისი მიმდებარე ქუჩების (განსაკუთრებით აქტიურია ზანდუკელის ქუჩა) განაშენიანებაც მონაწილეობს. აქაც ვხვდებით განსხვავებული მხატვრული ღირებულების შენობებს. ზანდუკელის ქუჩზე და უშუალოდ მეტროს მიმდებარე მონაკვეთზე მდგარი სახედაკარგული და ქალაქის ცენტრისთვის შეუფერებელი, უსახური ფასადები გვხვდება.

რუსთაველის მოედანს დღემდე არა აქვს ერთიანი არქიტექტურული კონტექსტი და გამოკვეთილი კონტური, რაც, როგორც ჩანს, კვლავაც მომავლის საქმედ რჩება. მოედნის რეკონსტრუქცია რთულ ამოცანას წარმოადგენს – მისი ახლებური სივრცითი ორგანიზაცია მოწესრიგებული, ქალაქმშენებლობითად ურთიერთთან კავშირში მყოფი სტრუქტურების შექმნისკენ უნდა იყოს მიმართული ისე, რომ სივრცემ კომპაქტური, შეკრული სახე მიიღოს.

2008 წელს გამოცხადდა და ჩატარდა „მეტრო “რუსთაველის” მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების“ კონკურსი, თუმცა რესპუბლიკის მოედნის ფორმირების ამ ეტაპზე, ზოგადად ახალი რეალობის გათვალისწინებით აუცილებლად მიმაჩნია ახალი კონკურსის ჩატარება. აქედან გამომდინარე, შემდგომი პროექტირებისას, როდესაც სასტუმრო “ივერია” ახალი, მინის კონსტრუქციით შეიცვალა და გადაგეგმარდა მიმდებარე ტერიტორიაც, აღებულ იქნა “სივრცული თაღედის” მონოლითური კომპოზიცია, „იმელის“ შენობის უკან, თაბუკაშვილის ქუჩის მონაკვეთში გაჩნდა თბილისის ისტორიული ცენტრისათვის „მოულოდნელი“ ვერტიკალი; გრძელდება ცვლილებები რესპუბლიკის მოედანზე გრიბოედოვის ქუჩის მიმართულებით, რაც მთაწმინდისკენ საბაგირო გზის გაყვანის პროექტს უკავშირდება, ყურადღება უნდა მიექცეს შიდაუბნური დაგეგმერების ახალ მოცემულობებს, ერთიანობაში უნდა იქნას გააზრებული შემდგომი ცვლილებები რუსთაველის მოედანზე და მის ირგვლივ ტერიტორიაზე,

“რუსთაველის” მეტროს მიწისზედა პავილიონი, მიუხედავად მოკრძალებული მასშტაბისა, რელიეფური პანოთი გაფორმებული ფასადისა და კორექტულად შერჩეული მდებარეობისა მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით გამორჩეულ ნაგებობას არ წარმოადგენს და მის მიმართ ცვლილებების განხორციელება დასაშვებია.

მეტროპოლიტენის მიწისზედა სადგურის სართულიანობის გაზრდის შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს არსებულ გარემოს და

ტერიტორიის ერთიანი გადაწყვეტისკენ უნდა იქნას მიმართული. მის უკან კვლავ უნდა აღიქმებოდეს ზანდუკელის ქუჩის მრუდი და მთაწმინდის ფერდის ზოგადი სტრუქტურა, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მოცულობის მატება. მოცულობის მატების შესაძლებლობას მიმდებარე განაშენიანების მასშტაბიც გვაძლევს.

დღეს არსებული უმაღლესი ხარისხის სამშენებლო ტექნოლოგიები და მასალები იძლევა, პროექტირების მეთოდების სათანადოდ დახვეწა, საუკეთესო სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენება, მხატვრულ-არქიტექტურულად მინიმალისტური, სადა გადაწყვეტა მოგვცემს პოზიტიურ შედეგებს.

მოედნის გარშემო თავმოყრილი თითოეული ნაგებობა, მიუხედავად ეკლექტურობისა, მონაწილეობს ურბანული სივრცის საერთო სახის ჩამოყალიბებაში. რუსთაველის მოედნის გეგმარებითი თავისებურება დიდწილად ნაკარნახევია თავისებური რელიეფითაც, რომელიც, ერთი მხრივ, სწორად გამოყენების შემთხვევაში, გაამდიდრებს განაშენიანების სტრუქტურას, მეორე მხრივ, კი არქიტექტორს უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს.

ძეგლთა დაცვითი პოზიციის თვალსაზრისით აქ არსებული არქიტექტურულ-სივრცითი გარემო არ არის სრულყოფილი და არ იძლევა ხელმოსაჭიდ მასალას მის ქსოვილში შემდგომი ჩარევის მკაცრად აკრძალვისათვის.

აქ შესაძლოა დაშვებულ იქნას კორექტული, თავდაჭერილი ფორმით ჩარევა მეტროპოლიტენის მიწისზედა სადგურის სართულების მატების მიმართულებით. პროექტირებისას გასათვალისწინებელია რუსთაველის მეტროს მიწისზედა პავილიონის არქიტექტურული ღირსებები – ცილინდრული გეგმარება, მინიმალიზმი, რათა არ მოხდეს ახალი ეკლექტური ერთეულის გაჩენა არსებულ განაშენიანებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმოს გამწვანებას მოედნის ირგვლივ და მეტროსადგურის მიმდებარედ.

შემდგომი პროექტირების გადაწყვეტილება ქალაქმშენებლობითად უნდა იყოს დასაბუთებული, რამდენადაც სწრაფი ურბანული ცვლილებების გაღვალისწინებით შეცდომის რესურსი ამოწურულია.

ხელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960; ტ. II, 1961.
2. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები: ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1947, გვ. 127-144.
3. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977.
4. გ. ბეჟანიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბილისი, 1967.
5. ა. ელისაშვილი, როგორ შეიცვალა თბილისი, თბილისი, 1913.
6. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 1958.
7. მ. მანია, თბილისის არქირექტურული გზამკვლევი, თბილისი, 2007.
8. ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა – განვითარების გზა, თბილისი 1971.
9. Архитектура Советской Грузии, Москва, 1986;
10. К. Моретти, 50 лет на стройках Грузии, Тбилиси, 1971.
11. Тифлис и его окрестности, Приложение к справочной книге старожила «Кавказ» - №2 (Издание второе), Тифлис, 1896.